სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/47

ქ. თბილისი

23 აპრილი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის მენეჯერის თანამდებობრივი უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 აპრილის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების პროექტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტის მენეჯერის თანამდებობრივი უფლებამოსილებების განსაზღვრის შესახებ (დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**